რედაქცია: სოლოლაკზე, ბალის ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა — 8 მ., ნახევარ წლისა — 5 მ., სამის თვის — 3 მ., ერთის თვისა — 1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: [illegible] ებით ასოზე 1 კაპ., [illegible] ცერითი — 5 კაპ., პატარითი — 4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

## განცხადება

ოთხშაბათს, 24 ღვინობისთვეს

ქართული ტრუპპისაგან წარმოდგენილი იქნება თფილისის საზაფხულო თეატრში:

I

### პეპო

კომედია სამს მოქმედებად გ. სუნდუკიანცისა.

II

უფ. მესხი წაიკითხავს იმერულ სცენებს;

იოსელიანის ქალი იმღერებს ქართულ სიმღერებს.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში და აზნაუროვის მაღაზიაში, გოლოვინის პროსპექტზე.

დაიწყობა $7\frac{1}{2}$ საათზე.

## ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი)

ბერლინი, 18 ოქტომბერს. სტატს-სეკრეტარი ფრიდბერგი პრუსიის მინისტრად დაინიშნა; კელერი ხმის უმეტესობით აირჩიეს პრუსიის დეპუტატთა პალატის თავმჯდომარედ.

ცეტინიე, 18 ოქტომბერს. 600 ჩერნოგორიელი ველიკიში შევიდნენ, 100-მა ორხანიცა დაიჭირა, 500 პოპისაკენ მიდიან და 200 კაცაც რეზერვათ არის.

ვენა, 19 ოქტომბერს. ავსტრიის სტამბოლელ ელჩის გრაფ ზიჩის თხოვნა სამსახურიდამ დათხოვნის თაობაზედ მიიღო იმპერატორმა.

კრონშტატი, 19 ოქტომბერს. კრეისერი „აზია“ ოკეანეში წავიდა.

პეტერბურღი, 19 ოქტომბერს. დიდი მთავარნი სერგი და პავლე ალექსანდრეს ძენი დაბრუნდნენ სამზღვარ გარეთიდამ პეტერბურღში. დ. მ. ნიკოლოზ მიხეილის ძე ჩაირიცხა კავკასიის 1 მსროლელთა ბატალიონში.

## პეტერბურღის ბირჟა, 19 ოქტომბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი)

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემის — | 94—12 |
| მეორე — — — — | 93—50 |
| მესამესი — — — | 93—37 |
| მეოთხესი — — — | 92—87 |
| აღმოსავლეთის პირ. — | 90—75 |
| აღმოსავლეთის მეორე — | 90—75 |
| აღმოსავლეთის, მესამე — | „—„ |
| ოქრო, ½ იმპერიალი — | 7—75 |
| გირაოს ფურცელი — | „—„ |

შინაგანი 5% სესხის ბილეთები

| | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი სესხის — — | 231—25 |
| მეორე სესხის — — | 225—05 |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — — | 25—50 | პენსი |
| ჰამბურღი — — | 216—50 | ცენტი |
| პარიჟი — — — | 269— „ | სანტიმი |
| ვენა — — — | 129— „ | პფენიგი |
| კავკასიის კერასინი — — — | | |

## ფელეტონი

### ხახულის მონასტერი

ხახულის ღვთის-მშობლის მონასტერი ანუ ახლა ხალხისაგან წოდებული „შუამთისა“, მდებარეობს თელავის მახლობლივ, რვა ვერსზედ, გომბორის მთების თავ-დალმა ერთს მაღალსა და მშვენიერს ტყეში რომელსაც ოთხ-კუთხივ ტყეები აქვს შემოფარებული და აღმოსავლეთით კიდევ თვალ-უწვდენელი კავკასიის მთები; მარცხენა მხრიდამ ჩაუდის თელავის გზა; გზას გაღაღმა მშვენიერი რიყე და შიგაც მიჩუხჩუხებს სუფთა წყალი; გარეშემო ვენახები და წყაროები.

ამ მონასტერს რვას სეკტემბერს მოსვლის დღესასწაული და ამ წელიწადს დიდი ამბები იყო მის კარზე; მომეტებული სომხები კი დადიან აქ სალოცავათა, რადგან ერთს დროს ესენი ამ ეკკლესიის ყმანი ყოფილან შეწირულნი ლეონ მეფისაგან ს. რუისპირისა და ბულგულის მცხოვრებნი, რომელნიც ყმებს განთავისუფლებამდე მას ემორჩილებოდნენ.

მონასტრის აშენება მიეწერება ლეონ კახეთის მეფის მეუღლე თინათინსა, გურიელის ქალსა. ხალხის გარდმოცემა ამბობს, რომ კახეთში მოსვლის მეორე დღეს თინათინ დედოფალს სიზმარი უნახავს და მეორე დღეს ლეონ მეფისთვის უამბნია, რომ წუხელის ერთმა ბერმა კაცმა ამა-და-ამ ალაგას თეთრი შინდის ხე მომაწოდა ხელშიო. როგორც „ქართლის ცხოვრებაც“ მოგვითხრობს, ამ სიზმარს ისეთი შთაბეჭდილება მოუხდენია მათზე, რომ შემდეგ რამდენიმე ხნისა სწორედ იმ ადგილას, სადაც ქალს მიჰგებებია მოხუცი, დაუწყიათ ეკკლესიის აშენება და მალეც აუშენებიათ. თინათინ დედოფალი რომ გამოუთხოვებიათ, მისთვის მზითევში გამოუტანებიათ ხახულის ღვთის-მშობლის ხატი, რომელიც მათაც ოსმალეთის საქართველოდამ გადმოუტანიათ.

მონასტერს ორმოც-და-ათ არშინამდის სიგრძე აქვს და ოც-და-ცამეტ არშინამდე სიგანე. შიგ მხატვრობა ჯერაც ეტყობა და მეტის-მეტი ჩინებული არის; მაგრამ პირველ მოსვლის ჟამსვე მესევი ეგზარხოსს მიუქცევია ყურადღება და თეთრად გაულესინებია, რადგანაც არ მოსწონებია მას, რომ სულ ქართველთა მეფე-დედოფლების სურათებით ყოფილა სავსე. ამ უკანასკნელ წლებში კი ზოგან კედელზე გამხმარი წამალი ჩამოცვენილა და თითქმის მეოთხედი ეკკლესიისა ახლა მხატვრობითა სჩანს, სულ სქელი ფერადის წამლებითა და ვარაყებით.

ეს ეკკლესია სწორედ იმ სახეზეა აღშენებული, როგორც განუახლებია იერუსალიმის ჯვარის-მონასტერი ლეონ მეფეს, სადაც შოთა რუსთაველიც მარხია.

აქ მარხიან შემდეგნი პირნი: კანკელის წინ თინათინ დედოფალი, რომლის ქვა აღარ არის და აგურებითაა ამოვსებული; მის თავით მარხია გამდელი მისი, რომელსაც თავის ხარჯით ამ მონასტრის სამრეკლო გაუკეთებია და დღესაც არის ეს სამრეკლო; მარჯვენა მხარეს ზემოთ კედელთან მარხია ჩვენი გამოჩენილი

# საქართველო

## ტფ. ქალაქის რჩევის სხდომა

22 ოქტომბერს.

სხდომის დაწყებისათანავე ქალაქის თავმა უფ. მატინოვმა სთქვა რამდენიმე სიტყვა ტფილისში დიფტერიტის (ყელის-ტკივილის) გავრცელების თაობაზედ; იმან გამოაცხადა, რომ ქალაქში ამ თვის ექვსიდამ ამოჩნდა ეს ავათმყოფობა და ამ თვისვე თვრამეტის შემდეგ კი დიფტერიტით ალარავინ გამხდარა ავათაო. ამ ხნის განმავალობაში სულ 21 სული გამხდარა ავათ და ამათში 9 მომკვდარა. რადგან ეს ავათმყოფობა ცუდი თვისებისა და გადამდები ავათმყოფობა არისო, ამის გამო ჩვენ, ე. ი. უპრავამ, იმთავითვე ვიხმარეთ ზოგიერთი ღონის-ძიება იმის მოსასპობელათაო: სხვათა შორის გავხსენით ორი დიზენფექციის კამერა, ერთი მტკვრის გაღმა ჰუკიაში და მეორე გამოღმა, სომხის ბაზარში. ახლა შემოგვაქვს წინადადება, რომ ამა ავათმყოფობის საწინააღმდეგოთ ამოვირჩიოთ კამისია და რჩევამ მოგვცეს უფლება ქალაქის ფულიდამ საჭირო ფულის — 400-600 მანეთამდინ — დახარჯვისა.

რჩევამ გადაწყვიტა: კამისია თვითონ ქალაქის თავმა ამოარჩიოს სახლის მეპატრონეებში და საჭირო ფულის დახარჯვის უფლება მიეცეს ქალაქის გამგეობას.

დანარჩენი მთელი საღამო რჩევამ მოანდომა უპრავის წინადადებას, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ, რადგან ქალაქის შემოსავალი გასავალზედ ნაკლები არისო და ამასთანავე ვალიც აქვს ქალაქსო, ამის გამო უნდა ვეცადოთ შემოსავლის მომატებასაო. შემოსავლის მომატებისათვისაც გამგეობას აღმოუჩენია შემდეგი ახალი წყაროები:

რადგან, კანონით, ქალაქის წრეში მდინარე წყალი ქალაქის საკუთრებას შეადგენსო, ამის გამო ჩვენ შეგვიძლიან შემდეგის საგნებიდამ ვისარგებლოთო:

წისქვილებით, რომელნიც ქალაქში მტკვარზე არიან გამართულნი. თითო ბორბალზე რომ ასი მანეთიდამ ორასამდინ გადასახადი დავადვათ, ქალაქის ხაზინას ხუთიდამ ათი-ათას მანედამდინ შეემატება წელიწადშიო.

უნდა მოემატოს გარდასახადი ქალაქში შემოტანილ ტივებს; დღემდინ თითო ტივზე ორი მანეთი იყო; ახლა 6 მან. გავხადოთო; შეშის ტივისთვისაც, ორი ნანეთის მაგიერად, სამი მან.; დაიდვას გარდასახადი აგრეთვე მტკვრის თევზზედ, რომლიდამაც ქალაქს უკანასკნელი 10,000 მან. შემოსავალი ექმნება წელიწადშიო, და ამას გარდა დაიდვას კიდევ გარდასახადი მტკვრის ქვიშაზედ.

დიდი და ხანგრძლივი ლაპარაკი ატყდა ამ გამგეობის წინადადებაზედ. მომეტებულ ნაწილ ხმოვანების აზრი ის იყო, რომ რადგან ამ ჟამად უიმისოთაც საშინელი სიძვირეა ქალაქში, რადგან წისქვილებზე ხარჯის დაწერა კიდევ უფრო გააძვირებს პურის ფასს, ქვიშაზედა ტივებზე გარდასახადის მომატება გააძვირებს სახლის ქირას, მტკვრის ახალს თევზზე ხარჯის დადება გააძვირებს თევზს, ამის გამო ამ ახალი გადასახადების შემოღება და უიმისოთაც ასე გაძვირებული ცხოვრების კიდევ უფრო გაძვირება რაც უფრო არ გაუჭირებს ხალხს ცხოვრებას, ქალაქს სარგებლობას ვერ მოუტანსო.

საზოგადოთ ხმოვანებმა ის აზრი გამოთქვეს, რომ ქალაქის შემოსავლის მოსამატებლად ჩვენ სხვა წყაროს უნდა მივმართოთ, სხვა საშუალებას უნდა აღმოვაჩინოთ, მაგალითად ქალაქის ბანკი გავხსნათო, „ურთი-ერთ სახლეველი ცეცხლისაგან საზოგადოება“ დაავარსოთო და სხვა ამგვარები, და არა ახალი გადასახადი დავადოთ უიმისოთაც შევიწროებულ და გაჭირებულ ხალხსაო.

ამას გარდა ისიც კი ვერ დამტკიცდა ნათლად — თუ მართლა, კანონით, ქალაქის საკუთრებას შეადგენს მთელი ის მდინარე წყალი მტკვრისა, რომელიც ქალაქის წრეში ჩამოდის; და ამნაირად, მართლა აქვს ქალაქს უფლება დაადვას ვისმე გადასახადი ამ წყლისა და იმის ნაპირების სარგებლობისათვის, თუ არა.

უველა ამ მოსაზრებით ქალაქის რჩევამ უარ-ჰყო უპრავის წინადადება ხსენებულ ოთხ საგანზე გარდასახიდის დადებაზედ.

---

## დღიური

*** ამ კვირას, 21 ოქტომბერს, დანიშნული იყო საზოგადო კრება „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“; კრებას სხვათა შორის, უნდა ამოერჩია კიდევ ერთი ორი წევრი საზოგადოების გამგეობისა (რადგან ექვსი არ კმარაო, ზაფხულობით ქალაქში არ რჩებიანო) და ამას გარდა უნდა ამოერჩიათ კიდევ კენჭის-ყრით ახალი წევრები საზოგადოებისა. საუბედუროთ, ეს კრება კვირას ვერ შესდგა, რადგან სულ მხოლოთ ოციოდე წევრი მოვიდა (კანონით კი უკანასკნელი 50 წევრი უნდა დაესწროს საზოგადო კრებაზედ). შემდეგი საზოგადო კრება მომავალ მაისისათვის არის დანიშნული.

*** რადგან ამ კვირასა და ორშაბათს წვიმიანი დღეების გამო, დოლი ვერ მო-

---

პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომლის საფლავზე შემდეგი ვიხილე:

„თ. ალექსანდრე ჭავჭავაძე.

მიიცვალა ჲ წლისა, 3 ნოემბერს ჩ. უ. მ. ვ. წელსა.

„მწუხარსა განუსვენოს ტირილმა და ცისკარსა სიხარულმან.. ფსალ. თავ. თ.“

მეორე ქვაზე, რომელიც საფლავზე აძევს:

„მარად და საუვიწყო სიმამრისა სამარესა დავსდევ ფიქალი ესე მთავარმა დავით დადიანმა.“

ა. ჭავჭავაძე 1784 წ. ყოფილა დაბადებული.

ამის ფეხთით მარხია ჩვენი დიპლომატის თ. გარსევან ჭავჭავაძის ცოლი, რომლის ქვაზედაც ეს ვიხილე:

„ეკლესიასა ამასა შინა მდებარეა მარიამი თ. გარსევან ჭავჭავაძის მეუღლე, ასული ავალიშვილისა თ. იოვანესი. დაიბადა 1758 წ.

„ეკალთა ზედა ამ სოფლისათა აღსრულებულ ყვავილთა შორის სასუფეველსა შენისათა ღირს მყავ მე განღვიძებად, უფალო!“

მარცხენა კედელთან ასაფლავია ჩვენი გამოჩენილი სარიდონ მესხიევი, რომელმაც ერთ ჟამს საკმარისად იღვაწა და სთარგმნა მრავალი ევროპიული მოთხრობები და 1851 წლის შემდეგიდამ „ცისკრის“ ნომრებში იბეჭდებოდა. ხელთ ნაწერებიც ბევრი დარჩა, სხვათა შორის ექენ სუს მოთხრობა „მიმოვალი ურია“ 1872 წელს „კრებულის“ ნომერში დაიბეჭდა. მისს საფლავზე ფრანცუზულათ და ქართულათ არის დაწერილი ეპიტაფია; ქართული ეს აღმოვიკითხე:

„მოიხსენე, უფალო, სული მონისა შენისა ნადვორნი სოვეტნიკი სარიდონ დიმიტრის ძე ალექსიევ-მესხიევისა, რომელი დაფლული იქმნა წმიდასა ტაძარსა ამასა 69 წლისა.“

მონასტრის მახლობლივ, ტყეში, სამ ალაგას ძველი დაქცეული ეკლესიებია; მეოთხე ადგილს ერთი ძველი უდაბნოა, რომელსაც „ძველს შუა მთის მონასტერს“ უწოდებენ აქაურები და სამი ეკლესია ერთად არის; ერთ ეკლესიას კანკელი ჯერაც ისევ ისე აქვს მარმარილოს ქვისა და საუფლო კარის მეტი შესავალი არა აქვს. ამავე ეკლესიების გვერდით აკლდამებია; ერთ ეკლესიაში აკლდამაში აუარებელი კაცის ძვლები ვნახე ბერებისა.

ამ ეკლესიას უვლის იერომონახი მიტროფანე (მახვილაძე) და დიდი მადლობა ეძლვნის სუფთათ შენახვისთვის. ეს ბერი რომ არ იყოს იქ, დღეს ორივე მონასტრები შემუსრილი იქნებიან. მე დამივლია მრავალი მონასტრები და არსად არ მინახავს ისე მტკიცეთ და სუფთათ დაცული როგორც აქ. ამგვარივე მადლობა ეძლვნის შიო-მღვიმის ბერს მ. წულუკიძეს, რომელიც დიდის მოწიწებით უვლის იმოდელა ნაქცევს ძველს შთენობასა; სიმართლით ვამბობ, რომ ამ ჟამად ამ ორ ბერს მეტი ჩვენს მონასტრებში აღარავინ მოიპოვებიან.

შუა-მთის მონასტერიც 1865 წლებში ისე გაუქურდამსთ, როგორც სხვა მონასტრები ნივთებით, ფულით თუ ხელთნაწერი წიგნებით.

[illegible]

28 სეკტემბერი, ქ. თელავი.

ხერხდა, ამის გამო, როგორც ჩვენ შევიტყუეთ, დოლი შემდეგ კვირისა და ორშაბათისათვის, 28 და 29 ოქტომბრისათვის არის ვადადებული

*** ჩვენ მივიღეთ თელავიდამ შემდეგი შენიშვნა გაზეთში დასაბეჭდათ:

„შარშან 1878 წელს, მთელმა თელავის სომხებმა სთხოვეს პატრიარქს, რომ აქაური ბლალოჩინი წაეყვანათ სადმე, რადგან ბევრ უკანონობას სჩადისო. მოვიდა გამომძიებელი და მართლაც დამტკიცდა, რომ იმ ბლალოჩინს აკლდა ეკკლესიის ფული, იმისაგან დანარჩენი ტერტერები შეწუხებული იყვნენ და შკოლა მიწასთან გაესწორებინა, რვა მასწავლებელი სულ უმიზეზოთ გაესტუმრებინა.

„ამ გამოძიების შემდეგ ხსენებული ბლალოჩინი გარდააყენეს მღვდლობიდამ, ჩამოხადეს ჯვარი, კამილავკა და გაგზავნეს მოსანანებლად ეჩმიაძინის მონასტერში.

„მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ იმას ეპატია ყოველი შეცოდება და ისევ დაგვიბრუნდა.

„ამ თვის შვიდში წმ. მარიამის შკოლის შაგირდები თავის მასწავლებლით წმ. გიორგის ეკკლესიაში მიდიოდნენ წირვის მოსასმენელად. გზაზე ბლალოჩინი დახვდება ამათ, თავიანთ ყავარჯნით, დაერევა შაგირდებს, პატარა ქალებსა და დაუწყებს ცემას... ქალებს სამს შიშით გულს შემოეყრება და წაიქცევიან, ორს მხრები დაუშავდებათ და ერთსაც ფეხი გაუფუჭდება; დანარჩენი ზოგი კედელს მიეხეთქება, ზოგი ფილაქანზედ დაეცემიან...

„ამბობენ, ამ გარემოების მიზეზი ის არისო, რომ ამ ბლალოჩინს შკოლის მასწავლებლის მტერობა ჰქონიაო. „აქლემები წაიკიდნენ, კოზაკი შუაში გამოჭყლიტესო!“ სწორეთ ესე დაემართათ საწყალ ამ შკოლის ქალებს...“

---

## „დროების“ კორრესპონდენცია

---

**რაჭა**, 6 ოქტომბერს. გვგონია ღმერთი გვწყალობს. ხალხში სწავლა-განათლება თან-და-თან ვრცელდება. სხვა სასწავლებლებს გარდა სასოფლო შკოლებიც მოგვემატნენ. შიგა-და-შიგ ქართული მწერლებიც გაგვიჩნდნენ, რომელთაც სხვა-და-სხვა ქართული წიგნების გამოცემა იკისრეს. განგვანათლეს, განგვასპეტაკეს და დაცემული ხალხი ფეხზე წამოგვაყენეს-მეთქი. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროთ, ყველა ეს იმედები, ყველა ეს ნატვრა-სურვილი ფუჭე კაკალივით გვიგორავენ თვალ წინ.

ჩვენ შკოლებს არც წიგნების სიმრავლე სადმე ეტყობათ, არც მათი შინაარსის შესწავლა და რაც უკან არ მიდიან, წინ წაწეულს ჯერ ვერსად ვხედავთ.

მიზეზად ყველას ესა აქვს, ყველა ამას ამბობს: „სასოფლო შკოლებში უხეირო და არრის მცოდნე მასწავლებლები გვყავანო“. რომ საზოგადოთ სასოფლო შკოლებში ძაბუნი მასწავლებლები გვყავან, ამას მეც ვემოწმები ხელის მოწერით ჩემითა; მაგრამ ერთი ესეც მიბრძანეთ, თქვენი ჭირიმე: ხეირიანმა და გამოცდილმა პედაგოგმა რაღა მეტი უნდა ჰქნას, რა სასწაული უნდა გამოიჩინოს იმ სასოფლო შკოლაში, სადაც მოსწავლე შაგირდებს, ნაცვლად სახელმძღვანელო წიგნებისა, დიაკვნის ხელთნაწერი ანბანა უძევსთ წინ? ჩვენი შკოლების უნაყოფობა, მათგან წინ ნაბიჯის წაუდგმელობა მართლა მარტო მასწავლებლებს კი არ მიეწერებათ, როგორც უმეტესი ნაწილი ფიქრობს, არამედ სახელმძღვანელო და სხვა ქართული წიგნების უქონელობასაც. სიტყვით ერთი ყოფა-ამბავი გააქვსთ, ყველა მცოდნე და უცოდინარი ამას იძახის: „არიქა, დაცემული საქართველო ფეხზე წამოვაყენოთ და უმეცარი ქართველობა მეცნიერათ გავხადოთ!“ მაგრამ ეს ამდენი მათი სიტყვით კვეხა-ბაქიაობა საქმით ამოზელილ ლობიოს მეტი არა გამოდის-რა...

ჩვენს ქართველობაში ერთად-ერთმა უფ. გოგებაშვილმა გამოიჩინა თავი, რომელიც მხურვალეს გულით თანაუგრძნობს ჩვენში სასოფლო შკოლების კეთილ და ნაყოფიერ გზაზე დაყენებას, რომელმაც თავის დაუღალავის შრომით გვიძღვნა ქართულ ენაზე სახელმძღვანელო წიგნები... დღემდი ამ წიგნებით იოლათ მივდიოდით და როგორც იქმნებოდა კიდე ისე იოლათ წავიყვანდით საქმეს, თუ რომ დღეს ესენიც არ მოგვსპობოდა და სანთლით საძებარი არ გაგვხდომოდა...

დადგა შემოდგომა. ენკენისთვეც გაილია და გლეხმა-კაცმაც ცოტა არ იყოს შეისვენა. მთელი წლის ნაწვავ-ნადაგავ გლეხს ახლა მოაგონდა შვილის ბედნიერება. მოიხმო თავისი პატარა ბავშვი, რომელიც სთველზე ხარის წინ მიუძღოდა, და უთხრა:

„—შვილო, ღვთის მადლით როგორც იყო, სამძიმო სამუშევარს მოვრჩით. ახლა, მამა, წადი შკოლაში! იქნება გაგიჭრას იღბალმა და ცოტა წერა-კითხვა მაინც ისწავლო!“

ამ სახით, რა რომ ენკენისთვე გაილევა, სასოფლო შკოლებში გლეხის შვილები გროვდებიან, ყველანი სიხარულით ეგებებიან სწავლასა; მაგრამ დახე უბედურებას: შკოლას ბიბლიოთეკა არა აქვს, რომ შემოსვლისა თანავე ბავშვებს სახელმძღვანელო წიგნები დაურიგდესთ და სანამ წავიდოდეთ, ვიყიდდეთ და მოვიტანდეთ, ამასობაში ბავშს სწავლის „იშტა“ ეკარგება, უბრალოთ შკოლაში ხეტიალი ბეზრდება და სულ ხელ-აღებული რჩება სწავლაზე.

თუმცა გამოცდილ და დახელოვნებულ მასწავლებელს შეუძლია ახალ შემოსულ უწიგნო ბავშვებთან ისე გაატაროს ორი კვირა, ისე მიითვისოს მათი ნორჩი გული სხვა-და-სხვა არაკებითა და ქადაგებითა, რომ მათ გული არ აუცრუვდესთ სწავლაზე; მაგრამ რომ მერეც ველარ იშოვოს წიგნები, - მაშინ რაღა შავს წყალს ეცეს! ვისღა უნდა დაბარდეს შკოლის უხეირობა და უნაყოფობა?!

მთელი ქუთაისის სასოფლო შკოლები დღემდი ქ. ქუთაისიდამ სარგებლობდნენ წიგნებითა. დღესაც იმ იმედით, რომ აქ წიგნებს ვიშოვით, ან თითონ მივდივართ, ან არა-და ვსწერთ ნაცნობებს გვიყიდონ და გამოგვიგზავნონ ჩვენგან მიწერილი ქართული სახელმძღვანელო წიგნები. მაგრამ ჩვენს ქუთაისს ამ ჟამად რაღაც იგეთი ნისლი დასხმია თავს, რაღაც იგეთ ნიავს მოუბერავს ამისათვის, რომ რაც ქვეყანაზე ვირ-თაგვა ყოფილა, ყველა აქ მოურეკნიათ. მისევიან ქართული წიგნების მაღაზიას და ისე დაუტკვერიათ წიგნები, რომ ერთ ნაგლეჯსაც ვერ იპოვით. თუ მე არ დამერწმუნებით, იხილეთ მე-№ 195 ჩვენი პატივცემული გაზეთი „დროებისა“ და წაიკითხეთ სტატია უფ. სვირელისა, რომელიც კიდევ ჩემზე უმფრო უჩივის ქ. ქუთაისში ქართული წიგნების უქონლობას.

მეტათ დაბრკოლებული არიან ჩვენი შკოლები ქართული წიგნების უქონლობით. იწამეთ ღმერთი და იკისრეთ ვინმემ ქ. ქუთაისში წიგნების მაღაზიის გახსნა!

მ. ონელ—ღებელა.

ს. ხოტევი.

---

# უცხო ქვეყნები

---

## ინგლისი

მოგეხსენებათ — რამდენი უნაყოფო ლაპარაკი და მელნის-ღვრა იყო მთელს ევროპაში, როდესაც პირველად გავარდა ხმა, რომ თ. ბისმარკი ვენაში იმყოფებაო და ავსტრო-ვენგრიის მთავრობასთან აქვს საპოლიტიკო საქმეებზედ მოლაპარაკებაო. რას ამბობდნენ მაშინ, ვინ იცის. ნამდვილი კი არავინ არა იცოდა-რა.

ახლა კი აღმოჩნდა ნამდვილი გარემოება ამ საქმისა. ტელეგრამმამ გვაცნობა ჩვენ, რომ გერმანიასა და ავსტრიას მეგობრული კავშირი შეუკრავთ ერთმანეთში, ორი რაღაც პირობა დაუწერიათ და ამ პირობაზე ავსტრიისა და გერმანიის იმპერატორებსაც ხელი მოუწერიათ. ამ კავშირს ის დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ამაში რუსეთი არ ურევია. ზოგიერთები ამტკიცებდნენ, რომ ეს კავშირი პირ-და-პირ რუსეთის საწინააღმდეგოდ არის შეკრულიო. იმ სიტყვამ, რომელიც ამ თვის 6-ს წარმოსთქვა ქ. მანჩესტერში ინგლისის უცხო ქვეყნის საქმეთა მინისტრმა, მარკიზ სალისბერიმ, დაარწმუნა მთელი ქვეყანა, რომ მართლა ამ კავშირის მიზანი ყო-

ფილა რუსეთის გაძლიერების წინააღმდეგობა.

მარკიზ სალისბიური პირ-და-პირ, მოურიდებლად და გულ-ღიათ ამბობს, რომ დღეის შემდეგ რუსეთის გაძლიერების ევროპას აღარ უნდა ეშინოდესო. მცირე-აზიის მხრით ჩვენ დავაბრკოლებთ იმას კვიპრის კუნძულის წყალობითაო; ბალკანის მხრით ავსტრია იმდენად ძლიერია, რომ ყოველთვის შეუძლია რუსეთის შეჩერებაო და რაც შეეხება შიგნით აზიას, აქ ავღანში ჩვენი გამაგრება ძალა-უნებურად შეაჩერებს რუსეთსაო.

ამნაირად ცხადათ დამტკიცდა ახლა, რომ, თუ ვინიცობაა ოდესმე ბრძოლა ატყდა, გერმანია, ავსტრია, ინგლისი და ოსმალეთი ერთად იმოქმედებენ რუსეთის წინააღმდეგ. რომელი სახელმწიფოები დაიჭერენ რუსეთის მხარეს—ეს ჯერ კაცმა არ იცის.

რასა თქმა უნდა, რომ რუსის გაზეთები ძალიან გაბრაზებულნი არიან ამგვარის პოლიტიკურ კავშირისაგან; გაზ. „გოლოსი“ პირ-და-პირ აცხადებს რომ რუსეთს შეურაცყოფა მიაყენესო და ჩვენ ამ ჟამად გულ-ხელ დაკრებილი ცდომა არ შეგვეფერისო.

### ავღანი

ინდოეთიდამ მოვიდა ლონდონში ამბავი, რომ ავღანის ემირი იაკუბ-ხანი ხელს იღებს ავღანის ტახტიდამაო და ინგლისის მთავრობას განზრახვა აქვსო, რომ იმის მაგიერად ავღანის ემირად დანიშნოს იმისივე ხუთი წლის ვაჟი და სანამ ის სრულ-წლოვანი შეიქნება, ავღანი ინგლისმა განაგოსო.

# განცხადებანი

**უმაწვილი კაცი** ამზადებს ბავშვებს პირველ და მეორე კლასისთვის. მსურველს შეუძლია თვისი ადრესი დასტოვოს „დროების“ რედაქციაში.

(5—2)

**გამგებელი კომიტეტი ქუთაისის სასწავლებლების ღარიბ მოსწავლეთა შემწეობის საზოგადოებისა** აცნობებს უფ. ამ საზოგადოების წევრთა, რომ, მიმდინარე ოქტომბრის თვის 21 რიცხვს, დილით ათ საათზე, ქ. ქუთაისს პროგიმნაზიის სადგომზე (თბილისის ქუჩაზე, ლინჩევსკის სახლებში) იქნება მორიგი საზოგადო კრება.

საზოგადო კრების განსახილველი საგნები:

1. მოსმენა საზოგადოების მოქმედებისა წარსული წლის განმავლობაში.
2. განხილვა საზოგადოების ხაზინადრის წლიურის ანგარიშისა.
3. აღრჩევა გამგებელი კომიტეტის წევრთა.
4. აღრჩევა მოთვალ-ყურეს კომმისსიის წევრთა.
5. განხილვა საშუალებათა და წინადადებათა საზოგადოების მიზნების უკეთ მიღწევისათვის.
6. განხილვა გამგებელი კომიტეტის წინადადებისა საზოგადოების წესდების რომელთამე მუხლთა შეცვლაზე და თვით წესდების შეჩვლაზე.
7. განხილვა კითხვებისა საწევრო ფულის შემოტანისათვის საზოგადო ერთნაირი ვადის დადგენაზე.
8. განხილვა გამგებელი კომიტეტის დარიგების (ინსტრუქცია) პროექტისა და დამტკიცება მისი.

**თფილისის ქალაქის გამგეობისაგან**

**ქალაქის გამგეობა** უცხადებს ტრაქტირებსა, ხარშოვნიკებსა და პასტოიალი დვორების პატრონებს, რომ, თანახმად ტრაქტირების წესდების § 17 მუხლისა, ისინი ვალდებულნი არიან ამ ოქტომბრის (ლვინობისთვის) განმავლობაში შემოიტანონ ქალაქის გამგეობაში ხვედრი ფული და მიიღონ ვაჭრობის უფლებისათვის ჯეროვანი მოწმობა 1880 წლისათვის. ვინც ამ მოთხოვნილებას არ აასრულებს, იმათ ტრაქტირებსა, ხარშოვნიკებსა და პასტოიალი დვორებს უპრავა უეჭველად მოამავალი 1880 წლის 1 იანვარს დაკეტავს.

# ლეღანი

(პროპისი) სურათებით

შედ. ან. ჯუღელისაგან

გამოვიდა და ისყიდება შემდეგ ადგილებში:

თ ბ ი ლ ი ს ს: ჩარკვიანის, ვართანოვის და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში,
ქ უ თ ა ი ს ს: სასულიერო სასწავლებელში და ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში,
ს ა მ ე გ რ ე ლ ო შ ი: სასულიერო სასწავლებელში დ. სუჯუნას თოფურიძის ლუქანში და აბაშაში უფ. ანტ. კეკელიასთან შკოლაში,
ო ზ უ რ გ ე თ ს: სასულიერო სასწავლებელში,
ხ ო ნ შ ი: უფ. ჭალაგანიძესთან,
გ ო რ ს: სასულიერო სასწავლებელში,
თ ე ლ ა ვ ს: სასულიერო სასწავლებელში და ხირსელოვის წიგნის მაღაზიაში,
ს ი ღ ნ ა ღ ს: უფ. კ. გალაშვილთან.
ფასი ერთის ეგზემპლიარისა აბაზი.

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | მ | კაპ. | მ. | კაპ. |
| თფილისი . . | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 85 | - | 44 |
| გორი. . . . | 11 | 58 | 9 | 43 | 3 | „ | 1 | 53 |
| ხაშური . . . | 1 | 29 | 11 | 57 | 4 | 73 | 2 | 42 |
| სურამი . . . | 1 | 44 | | | 4 | 90 | 2 | 61 |
| ყვირილა . . | 5 | 49 | | | 7 | 21 | 3 | 69 |
| რიონი. . . . | 6 | 57 | | | 8 | 44 | 4 | 31 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 9 | 66 | 4 | 93 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 10 | 71 | 5 | 47 |
| ფოთი. . . . | 9 | 50 | | | 12 | 24 | 6 | 26 |
| ფოთი . . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი. | 10 | 14 | | | 1 | 53 | - | 78 |
| სამტრედია . | 11 | 5 | | | 2 | 61 | 1 | 33 |
| რიონი . . . | 12 | 13 | | | 3 | 84 | 1 | 97 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | ღამე. | | 5 | 3 | 2 | 56 |
| სურამი . . . | 5 | 12 | 1 | 10 | 7 | 34 | 3 | 74 |
| ხაშური . . . | 5 | 39 | 1 | 37 | 7 | 51 | 3 | 84 |
| გორი . . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 9 | 24 | 4 | 73 |
| მცხეთა . . | 8 | 50 | 6 | 59 | 11 | 39 | 5 | 82 |
| თფილისი. . | 9 | 31 | 7 | 56 | 12 | 24 | 6 | 26 |

| ტელეგრაფი | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში . . . . . . . . . | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს, | 2 | — |
| პეტერბურღს, ვარშავს . . . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში . | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . . . . . | 3 | 75 |

**ფოჩტა**

ა) თფილისიდამ: საზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . | 3 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 7 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი 9 ოქტომბ. | — | — |
| ფქვ. თეთ. ბანჯისა ფუთ. | 2 | 55 |
| ფქვ. წითელი . . | 2 | 20 |
| ქერი ფუთი . . . | 1 | 40 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი. | 8 | 65 |
| —ამერიკისა, ფუთი . | 9 | 30 |
| გაწმენდილი ბამბა ფუთი. | 11 | 70 |
| მატყლი თუშური ფუთი. | 8 | 20 |
| —თარაქამისა ფუთი . | 3 | 70 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | 10 |
| ქონი ფუთი . . . | 5 | 80 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 7 | 60 |
| სტეარინის სანთელი ფ. | 11 | 65 |
| ხორცი ძროხისა .ლიტრა | — | — |
| —ცხვრისა, ლიტრა . . | — | — |
| სპირტი ვედრო . . . | 4 | 50 |
| შაქარი გროც. ფუთ . | 7 | 25 |
| —ფხვნილი ფუთი . | 5 | 70 |
| ყავა რგვალი გრვ. . | — | 65 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთი. | 14 | — |
| თამბაქო საშუალო ფთ. | 6 | 70 |

**თფილისის სამკურნალო.**

**ერევნ. მეიდ., წინამძღვაროვ. სახლი.**

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 8 საათიდამ 10-დინ.

ო რ შ ა ბ ა თ ს: ლისიცევი და ბარალევიჩი—შინაგ. ავათმყოფობის.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფ.; რეიხი—თვალის, ჟურავლევი—ვენერიულის, და კანისა; ბაბოევი—გულისა და შინაგ.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ს: ლისიცევი—შინაგ, ასტვა-ცატუროვი—ქალისა და ბავშვების ავათმყ.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგ. ავათთმყ. და ჟურავლევი—კანის და ვენერიულის.

პ ა რ ა რ ა ს კ ე ვ ს იქნებიან: ლისიცევი, შინაგ.; ასტვა-ცატუროვი—ვენერ. და კანის; ბაბაევი—გულისა და შინაგ. ავათმყოფ.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი, შინაგ.; ჟურავლევ.—ვენერ. და კანის რეიხი—თვალის.

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 Октября 1879 г. Типографія Меликова.* გამომც. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.